საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

2025 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ქ” ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №8 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს “საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი“ წინამდებარე დადგენილებას თანდართული რედაქციით.
2. წინამდებარე დადგენილებას თანდართული წესი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ტრისტან გულბიანი

აკადემიური საბჭოს მდივანი ხაზარაძე

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტური სტიპენდია (შემდგომში სტიპენდია) ემსახურება სტუდენტთა მოტივაციის გაზრდასა და კონკურენტული სასწავლო გარემოს შექმნას.
2. წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნას და ვრცელდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე.
3. უნივერსიტეტში არსებობს შემდეგი სახის სტიპენდიები:

   ა) სახელმწიფო სტიპენდია;
   ბ) საუნივერსიტეტო სტიპენდია;
   გ) სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდია;
   დ) სახელობითი სტიპენდია.

მუხლი 2. სტიპენდიის მოპოვება და დანიშვნა

1. სტიპენდია ინიშნება და გაიცემა წინა სასწავლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შედეგების გათვალისწინებით, სტიპენდიის კანდიდატების შორის შერჩევის საფუძველზე.
2. აკადემიური მოსწრება გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო სემესტრის განმავლობაში დარეგისტრირებულ სასწავლო კურსებში (არანაკლებ 30 კრედიტი) მიღებული ქულების საშუალო აკადემიური შეფასებით.
3. გარდა სემესტრული აკადემიური შედეგისა, სტიპენდიის დანიშვნის დროს გამოიყენება მონაცემები სტუდენტის მონაწილეობის შესახებ სტუდენტურ, სასწავლო-სამეცნიერო და სპორტულ აქტივობებში.
4. სტიპენდია არ ენიშნება:

   ა) სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტს;

   ბ) სტუდენტს, რომელსაც სრულად არ აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები;

გ) წინა სასწავლო სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტს;

დ) სტატუსშეწყვეტილ და სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს;

ე) სტუდენტს, რომელსაც ერთ-ერთ რომელიმე სასწავლო კურსში აქვს 71 ქულაზე ნაკლები.

მუხლი 3. საუნივერსიტეტო სტიპენდია

1. სსიპ საქართველოს სპორტის უნივერსიტეტში გაიცემა საუნივერსიტეტო სტიპენდია.
2. საუნივერსიტეტო სტიპენდია მოიპოვება სტუდენტის მიერ ყოველსემესტრულად მიღწეული შედეგების საფუძველზე და მოქმედებს ერთი სემესტრის განმავლობაში.
3. უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ყველა სტუდენტზე გაიცემა სტიპენდია შემდეგი ოდენობებით და პირობებით:

   ა) თვეში 200 ლარს იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ათვისებული აქვთ წინა სემესტრით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მათი საშუალო ქულა არის 91 და მეტი და შეესაბამება წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტს.

   ბ) თვეში 150 ლარი იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ათვისებული აქვთ წინა სემესტრით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და მათი საშუალო ქულა არის 81-90 ქულა და შეესაბამება წინამდებარე წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტს.

   გ). უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტებისთვის დააწესოს დამატებითი სტიპენდია (რომელიც არ არის დამოკიდებული მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე და შესაძლოა ითვალისწინებდეს სტუდენტთა სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობას), რომლის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 4. საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნის პროცედურა

1. სტიპენდიის დანიშვნისათვის სტუდენტი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.
2. სტიპენდიის დანიშვნისათვის კანდიდატების შერჩევას ახდენს უნივერსიტეტის ფაკულტეტის საბჭო, რომელიც იხილავს სტუდენტის მიღწევებს და არსებულ მონაცემებს.
3. სტიპენდიანტთა გამოვლენა ხდება კონკურსანტთა აკადემიური მოსწრების მონაცემების მიხედვითა სემესტრის განმავლობაში მიღებული შედეგების შესაფუძველზე.
4. მონაცემთა თანაბრობის შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ყოველი ერთით წინა სემესტრის შეფასებები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების შემდგომ მიღებული სკალირებული ქულა.
5. სტიპენდიის მინიჭების შედეგების გამოცხადება ხდება საჯაროდ.

6. უნივერსიტეტში ერთსა და იმავე სტუდენტზე ორი სახის სტიპენდია არ გაიცემა.

მუხლი 5. სახელმწიფო სტიპენდია

სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნა ხორციელდება საქართველოს სპორტის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამით უნივერსიტეტისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან.

მუხლი 6. სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული სტიპენდია

სხვა ორგანიზაციიდან სტიპენდიების დანიშვნის შემთხვევაში, სტიპენდიის დანიშვნის წესსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს თავად დონორი ორგანიზაცია.

მუხლი 7. სახელობითი სტიპენდია

1. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა 4 სახელობითი სტიპენდია, კერძოდ:
   ა) სტიპენდია მწვრთნელთა ფაკულტეტის 3 (სამი) სტუდენტისათვის,
   ბ) 1 (ერთი) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სტუდენტისათვის.
2. თითო სტუდენტზე გაიცემა სტიპენდია 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი

1. სახელობითი სტიპენდიანტების შესარჩევი კონკურსი ცხადდება რექტორის ბრძანებით, ყოველ სემესტრში, სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.
2. კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
   ა) სტუდენტის საკონკურსო განაცხადისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა და ადგილი;
   ბ) წარმოსადგენი საკონკურსო დოკუმენტაციის ნუსხა;
   გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნების ვადა.
3. საკონკურსო განცხადებების მიღების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 5 სამუშაო დღით, ხოლო სტიპენდიანტები შეირჩევა კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (რეკომენდებულია კონკურსის შედეგები განისაზღვროს აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის გამოცემამდე).
4. კონკურსის შესახებ ინფორმაცია და რექტორის ბრძანება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ვრცელდება უნივერსიტეტის პორტალზე, კონკურსანტთა განცხადებების მიღების დაწყებამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.
5. სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესს, კონკურსის პირობებს/შესარჩევის კრიტერიუმებს შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 9. სხვა სახის წახალისება

უნივერსიტეტის რექტორი თავისი ინიციატივით ან სტუდენტ(ებ)ის თხოვნის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის წამახალისებლ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას.

მუხლი 10. სტიპენდიის შეჩერება და შეწყვეტა

1. სტიპენდიანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში მასზე ავტომატურად ჩერდება სტიპენდიის გაცემა, რომელიც აღდგება იმავე სემესტრში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების დღისთვის სტიპენდიის დარჩენილი ვადით.
2. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია შეაჩეროს სტიპენდიის გაცემა, რის შესახებაც წინასწარ წერილობით ატყობინებს სტუდენტს. სტიპენდიის გაცემა აღდგება შესაბამისი გარემოებების აღმოფხვრისთანავე.
3. სტიპენდიის შეწყვეტის საფუძვლებია:

   ა) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

   ბ) ლექცია/სემინარების სისტემატიური გ აცდენა, სასწავლო პროცეში მონაწილეობის მიუღებლობა;

   გ) უნივერსიტეტის შინაგანაწესის და ეთიკის კოდექსის დარღვევა;

   დ) პირადი განცხადება;

   ე) უნივერსიტეტის რეპუტაციის შელახვა.
4. სტიპენდიის შეწყვეტის შესახებ ფაკულტეტის საბჭო შესაბამისი წარდგინებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს. სტიპენიის გაცემა შეწყდება რექტორის ბრძანების გამოცემის მომდევნო თვიდან.

მუხლი 11. სტიპენდიის მინიჭების შედეგების აპელაცია

1. სტიპენდიის მინიჭების შედეგების სააპელაციო განცდების მიღება მიმდინარეობს სტიპენდიის მინიჭების შედეგების გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
2. სააპელაციო განცხადებები მიიღება დეკანატებში.
3. დეკანატი 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს სააპელაციო განცხადებებს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის „სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესში“ შესატან ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.